| | |
|---|---|
| **ნასყიდობის ხელშეკრულება № [-]** | **Договор купли-продажи № [-]** |
| **ქ. თბილისი [-].[-].2023 წ.** | **г. Тбилиси [-].[-].2023 г.** |
| ერთი მხრივ, **შპს „ლუკოილ-ჯორჯია“**, შემდგომში წოდებული ,, **მყიდველი**”, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზაურ ჯალილოვის** სახით, | **ООО «ЛУКОЙЛ-Джорджия»**, далее – «**Покупатель**», представленное в лице Директора **Заура Джалилова**, с одной стороны |
| და | И |
| [-], შემდგომში წოდებული „**გამყიდველი**“, წარმოდგენილი მისი დირექტორის [-] სახით, მეორე მხრივ | [-], далее именуемое «**Продавец**», представленное в виде его Директора [-], с другой стороны |
| ერთობლივად წოდებულნი „**მხარეები**“, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე და ამავდროულად, მხარეები აღიარებენ, რომ თუ ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლინდება, რომ გამყიდველის სატენდერო შეთავაზება რაიმე მიზეზით არ შეესაბამება მყიდველის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისათვის განმსაზღვრელი (პრიორიტეტული) პირობები იქნება მყიდველის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნები: | Совместно именуемые “**Стороны**”, заключили настоящий договор о нижеследующем, и при этом Стороны признают, что если в ходе исполнения договора будет выявлено, что по каким-либо причинам в тендерном предложении Продавца имеются несоответствия требованиям тендерной документации Покупателя, то определяющими (приоритетными) условиями исполнения настоящего договора являются требования тендерной документации Покупателя: |
| "სატენდერო დოკუმენტაცია" ნიშნავს დოკუმენტების პაკეტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ტენდერის ობიექტსა და საგანთან დაკავშირებული ტექნიკური, კომერციული, ორგანიზაციული და სხვა მოთხოვნების შესახებ, ინფორმაციას მისი ჩატარების პირობებისა და პროცედურის შესახებ, ხელშეკრულების პროექტს, კონტრაჰენტის მოთხოვნებს და სხვა ინფორმაციას, რომელიც კონტრაჰენტებს ეგზავნება სატენდერო წინადადების მომზადებისთვის, ხოლო „სატენდერო წინადადების“ ქვეშ - კონტრაჰენტის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული დოკუმენტების პაკეტი. | Под «Тендерной документацией» понимается пакет документов, содержащих информацию о технических, коммерческих, организационных и иных требованиях к объекту и предмету тендера, сведения об условиях и порядке его проведения, проект Договора, требования к претенденту и другие требования, направляемый контрагентом для подготовки тендерного предложения, а под «Тендерным предложением» – пакет документов, подготовленный контрагентом в соответствии с требованиями тендерной документации. |
| **1. ხელშეკრულების საგანი** | **1. Предмет договора** |
| **1.1.** წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადასცეს მყიდველის საკუთრებაში წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში მითითებული საქონელი (შემდგომში - **საქონელი**) შეთანხმებულ ფასად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებსა და წესით, ხოლო მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებულ პირობების თანახმად იღებს ვალდებულებას მიიღოს საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება. ამასთან გამყიდველი ვალდებულია მოახდინოს გადაცემული საქონლის სრული მონტაჟი. | **1.1.** По настоящему Договору Продавец обязуется передать в собственность Покупателя товар, определенный в Приложении №1 к данному договору (далее – „**Товар**“) по согласованной цене в порядке и сроки, установленные Договором, а Покупатель обязуется принять товар и оплатить сумму на условиях, согласованных настоящим Договором. Кроме того, Продавец обязан осуществлять монтаж товара. |
| **1.2.** საქონლის დასახელება, ასორტიმენტი, ტექნიკური მახასიათებლები, რაოდენობა, ფასი, მიწოდების პირობები მითითებულია ყველა საქონლის ზოგად სპეციფიკაციაში (ამ ხელშეკრულების დანართი №1, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს). | **1.2.** Наименование, ассортимент (сортамент), технические характеристики, количество, цена, сроки поставки товара указываются в Общей спецификации на весь товар (Приложение №1 к настоящему договору, которое являющееся неотъемлемой частью настоящего Договора). |
| **1.3.** სპეციფოკაციის ფორმა არ ექვემდებარება ცვლილებას. | **1.3.** Форма спецификации не подлежит изменению. |
| **1.4.** წინამდებარე ხელშეკრულებით მიწოდებული საქონელი არ უნდა იყოს არანაირად დატვირთული მესამე პირების წინაშე, არ იყოს სადავო და/ან დაყადაღებული. | **1.4.** Товары, поставляемые по настоящему Договору, не должны быть обременены каким бы то ни было способом перед третьими лицами, находиться в споре и/или под арестом. |
| **1.5.** თუ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას გამოვლინდა, რომ რაიმე მიზეზით გამყიდველის სატენდერო | **1.5.** Если в ходе исполнения настоящего договора будет выявлено, что по каким-либо причинам в Тендерном |



გამყიველი / Поставщик ___________________________

| | |
|---|---|
| წინადადება არ შეესაბამება მყიდველის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების განმსაზღვრელი (პრიორიტეტული) პირობები არის მყიდველის ტენდერის დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნები. | предложении Продавца имеются несоответствия требованиям Тендерной документации Покупателя, то определяющими (приоритетными) условиями исполнения настоящего договора являются требования Тендерной документации Покупателя. |
| **1.6.** „სატენდერო დოკუმენტაცია" ნიშნავს დოკუმენტების პაკეტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ტენდერის ობიექტსა და საგანთან დაკავშირებული ტექნიკური, კომერციული, ორგანიზაციული და სხვა მოთხოვნების შესახებ, ინფორმაციას მისი ჩატარების პირობებისა და პროცედურის შესახებ, ხელშეკრულების პროექტს, განმცხადებლის მოთხოვნებს და აპლიკანტებისთვის სატენდერო წინადადებების მოსამზადებლად გაგზავნილ სხვა მოთხოვნებს, „სატენდერო წინადადება"ნიშნავს განმცხადებლის მიერ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული დოკუმენტების პაკეტი. | **1.6.** Под «Тендерной документацией» понимается пакет документов, содержащих исходную информацию о технических, коммерческих, организационных и иных требованиях к объекту и предмету тендера, сведения об условиях и порядке его проведения, проект Договора, требования к претенденту и другие требования, направляемый претендентам для подготовки тендерного предложения, под «Тендерным предложением» – пакет документов, подготовленный претендентом в соответствии с требованиями тендерной документации. |
| **2. მხარეებს შორის ანგარიშსწორების პირობები** | **2. Условия расчетов между сторонами** |
| **2.1.** საქონლის ფასი დგინდება ფულადი ერთეულით ლარში. საქონლის ფასი განისაზღვრება საქონლის დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების (მიწოდების) და მონტაჟის ღირებულების გათვალისწინებით. | **2.1.** Цена на товар устанавливается в денежных единицах в лари. Цена на товар определена с учетом стоимости расходов по транспортировке (доставке) товара до места назначения и монтажа. |
| **2.2.** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს [-] ([-]) ლარს დღგ-ს ჩათვლით (ძირითადი თანხა [-] ([-]) ლარი, ხოლო დღგ [-] ([-]) ლარი) . | **2.2.** Стоимость товара составляет [-] ([-]) лари с НДС (основная сумма [-] ([-]) лари, а НДС [-] ([-]) лари). |
| **2.3.** მყიდველი ვალდებულია განახორციელოს გამყიდველისაგან შეძენილი საქონლის ღირებულების გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ***30-ე კალენდარულ დღეს***, გამყიდველის საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით. | **2.3.** Покупатель обязан произвести оплату стоимости товара **на 30 календарных день** с даты подписания данного договора посредством перечисления денежных средств на банковский счет Продавца. |
| **2.4.** წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი ემთხვევა წინამდებარე ხელშეკრულების თავსართში მითითებულ თარიღს. | **2.4.** Датой подписания данного договора является дата, указанная в заголовке данного договора. |
| **3. საქონლის მიწოდების ვადა, პირობები და წესი** | **3. Сроки, условия и порядок поставки товара** |
| **3.1.** საქონლის მიწოდება ხორციელდება მხარეთა მიერ სპეციფიკაციების ხელმოწერის შემდეგ. | **3.1.** Поставка товара осуществляется после подписания Сторонами спецификаций. |
| **3.2.** საქონლის მიწოდება ხორციელდება სპეციფიკაციაში ან/და ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ვადაში, საქონლის სპეციფიკაციის შესაბამისად. საქონლის პარტიებად მიწოდებაზე შეთანხმებისას, მხარეებს შეუძლიათ ხელი მოაწერონ გადაზიდვის განრიგს, რომელიც განსაზღვრავს თითოეული პარტიისთვის მიწოდების დროს. „პარტიაში" მხარეები გულისხმობენ ზედნადებში/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მითითებულ რაოდენობას. | **3.2.** Поставка товара осуществляется в сроки, указанные в спецификации и/или в договоре, в соответствии с спецификацией товара. При согласовании поставки товара партиями Стороны могут подписывать График отгрузки, в котором определяется срок поставки каждой партии. Под «партией» Стороны понимают объем, указанный в товарной накладной/налоговой счет-фактуре. |
| **3.3.** გამყიდველი ახორციელებს საქონლის ტრანსპორტირებას (მიწოდებას) დანიშნულების ადგილამდე. „დანიშნულების ადგილის" ქვეშ მხარეები გულისხმობენ: [-]. | **3.3.** Продавец осуществляет транспортировку (доставку) товара до места назначения. Под «местом назначения» Стороны понимают: [-]. |
| **3.4.** საქონლის ტრანსპორტირებისას (მიწოდებისას) გამყიდველი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებით, რომელიც არეგულირებს საქონლის/ტვირთის გადაზიდვას ამა თუ იმ ტრანსპორტის სახეობით. | **3.4.** При транспортировке (доставке) товара Продавец руководствуется требованиями законодательства Грузии, регламентирующего перевозку товаров/грузов тем или иным видом транспорта. |
| **3.5.** გამყიდველის ვალდებულებები საქონლის მიწოდების (გადაცემის) შესრულებულად ითვლება საქონლის მყიდველისთვის დანიშნულების ადგილზე გადაცემის მომენტში. მყიდველისთვის საქონლის გადაცემის მომენტს მხარეები განსაზღვრავენ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. | **3.5.** Обязательства Продавца по поставке (передаче) товара считаются выполненными в момент передачи товара Покупателю в месте назначения. Момент передачи товара Покупателю стороны определяют на основании акта приема-передачи товара. |

| | |
|---|---|
| **3.6.** საკუთრების უფლება, ასევე როგორც საქონლის ხარისხის დაკარგვასთან ან გაუარესებასთან დაკავშირებული რისკები, გამყიდველიდან მყიდველზე გადადის საქონლის მიწოდების (გადაცემის) თაობაზე მიღება-ჩაბარების ხელმოწერის მომენტიდან. ამ მომენტამდე ყველა რისკი ეკისრება გამყიდველს, მათ შორის და არა მხოლოდ, საქონლის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. | **3.6.** Право собственности, а также риски, связанные с гибелью или ухудшением качества товара, переходят от Продавца к Покупателю с момента подписания акта приема-передачи поставки (передачи) товара. До этого момента все риски лежат на Продавца, в том числе и не только, риски, связанные потери товара. |
| **3.7.** გამყიდველი ადგენს გადაზიდვის დოკუმენტს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საქონლის ტრანსპორტირებას შესაბამისი ტრანსპორტით. | **3.7.** Продавец оформляет товарно-транспортный документ в соответствии с требованиями законодательства Грузии, регламентирующего перевозку товара соответствующим видом транспорта. |
| **3.8.** გამყიდველი მყიდველს უგზავნის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და ვადებში. | **3.8.** Продавец в порядке и в сроки, предусмотренные действующим законодательством Грузии, выставляет на Покупателя налоговую счет-фактуру. |
| **3.9.** ხელშეკრულებით მიწოდებულ საქონელს თან უნდა დაერთოს შემდეგი თანმხლები დოკუმენტები: შეფუთვის ფურცლები, ტექნიკური პასპორტი, ხარისხის სერთიფიკატები ან სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ საქონლის ხარისხს, მწარმოებლის საგარანტიო ვალდებულებები და საგარანტიო ვადა, აგრეთვე საექსპლუატაციო ინსტრუქციები. | **3.9.** К товару, поставляемому по договору, в обязательном порядке прилагаются следующие сопроводительные документы: упаковочные листы, технические паспорта, сертификаты качества или иные документы, подтверждающие качество товара, гарантийные обязательства завода-изготовителя и срок действия гарантийных обязательств, а также инструкции по эксплуатации. |
| **3.10.** თითოეული შეფუთვის ფურცელი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს: შეფუთვის ფურცლის ნომერი; შეფუთვის ფურცლის თარიღი; საქონლის დასახელება; საზომი ერთეულები, საქონლის სხვა რაოდენობრივი მახასიათებლები; გამყიდველის დასახელება, მყიდველის დასახელება. ამ დოკუმენტების არარსებობა ითვლება არასრული საქონლის მიწოდებად და მყიდველს უფლება აქვს გამოიყენოს სანქციები გამყიდველის მიმართ ამ ხელშეკრულების შესაბამისად. | **3.10.** В каждом упаковочном листе должны содержаться следующие данные: № упаковочного листа; дата упаковочного листа; наименование товара; единицы измерения, иные количественные характеристики товара; наименование Продавца; наименование Покупателя. Отсутствие указанных документов рассматривается как поставка некомплектного товара, и Покупатель вправе применить к Продавцу санкции в соответствии с данным договором. |
| **3.11.** სპეციფიკაციაში/ხელშეკრულებაში მითითებულ მიწოდების ვადაში მყიდველის მიერ საქონლის მიუღებლობის შემთხვევაში, გამყიდველი ოპერატიულად აწვდის ინფორმაციას მიუღებელი საქონლის ადგილმდებარეობის შესახებ და მყიდველის მიერ მოთხოვნილ სხვა ინფორმაციას. | **3.11.** В случае неполучения Товара Покупателем в срок поставки, указанный в спецификации/договоре, Поставщик предоставляет в оперативном порядке информацию о местонахождении неполученного товара и иную запрашиваемую Покупателем информацию. |
| **3.12.** მყიდველი მიწოდებას განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან [-] ვადაში. | **3.12.** Продавец осуществляет поставку в течении [-] дней с даты подписания данного договора. |
| **4. მხარეთა გარანტიები:** | **4. Гарантии Сторон** |
| **4.1. გამყიდველი იძლევა გარანტიას, რომ** | **4.1. Продавец гарантирует, что** |
| **4.1.1.** არის სათანადოდ დაფუძნებული, სათანადოდ რეგისტრირებული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონიერად მოქმედი იურიდიული პირი; | **4.1.1.** является юридическим лицом, надлежащим образом созданным, зарегистрированным в установленном порядке и законно действующим в соответствии с законодательством Грузии; |
| **4.1.2.** წინამდებარე ხელშეკრულების დადება და შესრულება არ ეწინააღმდეგება გამყიდველის სადამფუძნებლო დოკუმენტებს; | **4.1.2.** заключение и исполнение настоящего Договора не противоречит учредительным документам Продавца; |
| **4.1.3.** იურიდიული პირის/ იურიდიული პირის მართვის ორგანოების შესახებ ყველა ფაქტობრივი ინფორმაცია, გამყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები სანდოა მათი წარდგენის, აგრეთვე ამ ხელშეკრულების დადების თარიღისთვის; | **4.1.3.** вся фактическая информация о юридическом лице/органах управления юридического лица, документы, представленные Продавцом, являются достоверными на дату их представления, а также на дату заключения настоящего Договора; |
| **4.1.4.** წინამდებარე ხელშეკრულების დადების თარიღისთვის, გამყიდველმა არ დამალა რაიმე ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც მოწოდებულ ინფორმაციას/დოკუმენტებს არასანდოს გახდის; | **4.1.4.** на дату заключения настоящего Договора Продавцом не было скрыто какой-либо информации/документов, что сделало бы предоставленную информацию/документы недостоверной; |



გამყიველი / Поставщик ___________________________

| | |
|---|---|
| **4.1.5.** მის წინააღმდეგ სასამართლოში ან/და სხვა სახელმწიფო ორგანოებში არ დაწყებულა სასამართლო, საარბიტრაჟო ან/და ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ამ ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა; | **4.1.5.** в отношении него не возбуждались судебное, арбитражное и/или административное производства в судах и/или иных государственных органах, которые могли бы привести к невозможности надлежащим образом и в соответствии с требованиями законодательства Грузии исполнять свои обязательства по настоящему Договору; |
| **4.1.6.** წინამდებარე ხელშეკრულებით მიწოდებული საქონელი არ არის გაყიდული მესამე პირებზე, არ არის დაყადაღებული სასამართლოს გადაწყვეტილებით, არ არის დავის საგანი და საქონლის გადაცემა და მისი გამოყენება არ არღვევს მესამე მხარის ექსკლუზიურ უფლებებს, და იღებს ვალდებულებას მოაგვაროს ნებისმიერი დავა/სასარჩელო წარმოება მესამე მხარის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევა) ამ ხელშეკრულებით მიწოდებულ საქონელზე და აუნაზღაუროს მყიდველს და/ან მის შვილობილი პირებს ზარალი ასეთი პრეტენზიების შედეგად წარმოქმნილი პრეტენზიებზე; | **4.1.6.** поставляемый по настоящему договору товар не продан третьим лицам, не состоит под арестом по решению суда, не является объектом спора, а передача товара и его использование не нарушает исключительных прав третьих лиц, и принимает на себя обязанности по урегулированию любых претензий, исков со стороны третьих лиц в связи с нарушением прав третьих лиц (в том числе нарушением интеллектуальных прав) на товар, поставляемый по настоящему договору, и компенсировать Покупателю и/или его аффилированным лицам убытков, понесенных вследствие предъявления таких претензий, исков; |
| **4.1.7.** ასრულებს და აკმაყოფილებს, ასევე ასრულებდა და აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს; | **4.1.7.** исполняет и соблюдает, равно как и исполнял и соблюдал требования законодательства Грузии, в том числе, налогового; |
| **4.1.8.** აქვს საჭირო რესურსები ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად. | **4.1.8.** имеет необходимые ресурсы для исполнения своих обязательств по настоящему Договору. |
| **4.2.** თუ გამყიდველი დაარღვევს ამ გარანტიებს, მყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს გამყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა, ხოლო გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით. | **4.2.** В случае нарушения Исполнителем указанные гарантии, Заказчик вправе потребовать от Исполнителя выплатить неустойку, а Исполнитель обязуется выплатить неустойку в размере 0.5 % от стоимости договора. |
| **4.3.** გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს პირგასამტეხლო 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში მყიდველის მიერ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის გაგზავნიდან. | **4.3.** Исполнитель обязуется выплатить неустойку в течение 10 (десяти) рабочих дней с момента направления Заказчиком соответствующего письменного требования. |
| **4.4.** მყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად თქვას უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე გამყიდველისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, მყიდველისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე და გამყიდველის წინაშე რაიმე ზარალის კომპენსაციის გარეშე. მყიდველს გამყიდველისათვის გაწეული მომსახურების პროპორციულად ანაზღაურების ვალდებულება წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზემოთხსენებული გარანტიების დარღვევა მისი ბრალეულობის გარეშე და თუ გამყიდველი დაადასტურებს ამ ფაქტს. | **4.4.** Заказчик имеет право в одностороннем порядке отказаться от исполнения настоящего Договора путем направления Исполнителю соответствующего уведомления без возложения на Заказчика какой-либо ответственности за такой отказ и без возмещения каких-либо убытков Исполнителю. Обязанность по возмещению Заказчиком пропорционально оказанных Исполнителем услуг возникает только в случае если нарушение вышеуказанных гарантий произошло не по его вине и если Исполнитель подтверждает этот факт. |
| **4.5.** ამ შემთხვევაში ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება გამყიდველისათვის შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მიწოდების მომენტიდან, თუ თავად ასეთ შეტყობინებაში სხვა ვადა არ არის მითითებული. | **4.5.** Договор в таком случае считается расторгнутым с момента доставки соответствующего письменного уведомления исполнителю, если в самом таком уведомлении не указан иной срок. |
| **5. შესრულებული სამუშაოს ხარისხი** | **5. Качество выполненных работ** |
| **5.1.** მყიდველს უფლება აქვს თავისი წარმომადგენლების დახმარებით განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი, შეამოწმოს ტექნიკურ პირობებთან და ნორმებთან შესაბამისობა. | **5.1.** Покупатель с помощью своих представителей имеет право осуществлять контроль качества выполненных работ, проверять соответствие техническим условиям и нормам. |
| **5.2.** გამყიდველი ვალდებულია მყიდველს წარუდგინოს საქონლის შემოწმებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია. | **5.2.** Продавец обязан предъявлять Покупателю всю документацию, относящуюся к испытаниям товара. |
| **5.3.** მყიდველს უფლება აქვს მის დანიშნულებამდე მიტანამდე შეამოწმოს საქონლის შეფუთვა და მისი მდგომარეობა. | **5.3.** Покупатель имеет право проверить упаковку и состояние товара перед доставки его до места назначения. |
| **5.4.** თუ საქონლის მიღებისას აღმოჩენილი იქნება რაიმე ხარვეზი, გამყიდველი ვალდებულია აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზები / შეცვალოს საქონელი 2 სამუშაო დღის განმავლობაში. | **5.4.** Если во время приемки товара обнаружатся какие-либо дефекты, то Продавец обязан устранить обнаруженные дефекты/заменить товар в течении 2 |



გამყიველი / Поставщик ____________________________

ნაკლის აღმოფხვრის/საქონლის გამოცვლის შემდეგ საქონელი ექვემდებარება მეორად შემოწმებას. თუ ამ შემოწმების დროს დადგინდა, რომ ხარვეზი არ იქნა აღმოფხვრილი ან აღმოჩენილია ახალი ხარვეზები, მყიდველი აძლევს გამყიდველს ვადას, რომ გამოასწოროს ხარვეზი და განახორციელოს საბოლოო შემოწმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების დროის გაგრძელების გარეშე. თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ ხარვეზები ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას დეფექტურ საქონელზე და სანაცვლოდ მოითხოვოს ხარისხიანი პროდუქტი ან შეწყვიტოს ხელშეკრულება ნაწილობრივ ან სრულად, გამყიდველისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების გარეშე.

**5.5.** საქონლის მიღების შემდეგ მხარეები ადგენენ საქონლის მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებულია, რომ წარმოებული და შემოწმებული საქონელი შეესაბამება ტექნიკურ პირობებს და ნორმებს, სპეციფიკაციებს და ხელშეკრულების ყველა სხვა პირობას.

**5.6.** მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ თავად შემოწმების პროცესი ხელს არ შეუშლის საქონლის მიღებისა და მიწოდების პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას და არ გაზრდის ვადას.

**5.7.** მყიდველის წარმომადგენლის მონაწილეობა საქონლის ინსპექტირებასა და შემოწმებაში, აგრეთვე მყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ საქონლის მიღების ნებართვის გაცემა არ ათავისუფლებს გამყიდველს პასუხისმგებლობისგან საქონლის ხარისხის გარანტიასთან დაკავშირებით წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

**5.8.** მიწოდებული საქონლის ხარისხი და სისრულე, ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს და სტანდარტებს, სამრეწველო უსაფრთხოების სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს, ტექნიკურ დავალებებს, დამატებით მოთხოვნებს, რომლებიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართებში, სპეციფიკაციებსა და დამატებით შეთანხმებებში.

**5.9.** მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა დადასტურდეს მწარმოებლის მიერ გაცემული პასპორტით და (ან) ხარისხის (შესაბამისობის) სერტიფიკატით და (ან) სხვა დოკუმენტით, თუ ასეთი დოკუმენტის არსებობა სავალდებულოა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

***5.10. მიწოდებული საქონლის საგარანტიო ვადა არ უნდა იყოს 24 თვეზე ნაკლები საქონლის მიწოდების დღიდან ნებისმიერი დაზიანების შემთხვევაში საქონლის გამოცვლის პირობით.***

**5.11.** გამყიდველი გარანტიას იძლევა, რომ მიწოდებული საქონელი შეესაბამება უმაღლეს სტანდარტებს, ტექნოლოგიის უმაღლეს დონეს, რომელიც არსებობს ამ ტიპის საქონლისთვის ხელშეკრულების ხელმოწერის დროს.

**5.12.** მყიდველს გამყიდველთან შეთანხმებით, დანართებში, ხელშეკრულების სპეციფიკაციების მითითებით ან ხელშეკრულების დამატებითი ხელშეკრულებების შედგენით, შეუძლია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები საქონლის ხარისხისა და სისრულისთვის, ასევე მოითხოვოს გამყიდველისგან ხარისხის დამატებითი გარანტიები.

**5.13.** თუ აღმოჩენილია შეუსაბამობა სპეციფიკაციებით დადგენილ საქონლის ხარისხთან, რაოდენობასთან და/ან სხვა პარამეტრებთან ან რაიმე თანმხლები დოკუმენტის არარსებობის

рабочего дня. После устранения дефекта/замены товара, товар подвергается вторичной проверке. Если во время этой проверки будет обнаружено, что дефект не устранен или будут обнаружены новые дефекты, то Покупатель назначает Продавцу последний срок для устранения дефекта и для проведения окончательной проверки без продления срока поставки, оговоренного в договоре. Если по истечении этого срока дефекты все еще не будут устранены, Покупатель имеет право отказаться от дефектного товара и потребовать взамен качественный товар или расторгнуть договор в части дефектного товара или полностью без возмещения понесенных Продавцом затрат.

**5.5.** После проведения приемки товара Стороны оформляют акт приема-передачи товара с указанием, что изготовленные и проверенные товары соответствуют техническим условиям и нормам, спецификациям и всем другим условиям Договора.

**5.6.** Стороны гарантируют, что сам процесс инспектирования не помешает нормальному ходу процесса получения и доставки товара и не увеличит.

**5.7.** Участие представителя Покупателя в проведении осмотра и испытания товара, а также выдача Покупателем или его представителем разрешения на получение товара Покупателю не освобождает Продавца от ответственности относительно гарантии качества товара согласно настоящему договору.

**5.8.** Качество и комплектность, технические характеристики поставляемого товара должны соответствовать условиям договора и стандартам, нормам промышленной безопасности, техническим условиям, техническим заданиям, дополнительным требованиям, которые указываются в приложениях, спецификациях и дополнительных соглашениях к настоящему Договору.

**5.9.** Качество поставляемого товара должно подтверждаться паспортом, выдаваемым заводом-изготовителем, и (или) сертификатом качества (соответствия), и (или) иным документом, если его оформление является обязательным в соответствии с действующим законодательством Грузии.

***5.10. Гарантийный срок на поставляемый товар не должен быть менее 24 месяцев с момента поставки товара с условием замены товара при любом повреждении.***

**5.11.** Продавец гарантирует, что поставляемый Товар соответствует высшим стандартам, высшему уровню техники, существующим для данного вида товара в момент подписания Договора.

**5.12.** Покупатель по согласованию с Продавцом посредством указания в приложениях, спецификациях к Договору или оформления дополнительных соглашений к Договору может установить дополнительные требования к качеству и комплектности товара, а также потребовать от Продавца предоставления дополнительных гарантий качества.

**5.13.** При обнаружении несоответствия качеству, количеству и/или иным параметрам заявленного в спецификациях товара или в случае отсутствия какого-



გამყიველი / Поставщик ___________________________

| | |
|---|---|
| შემთხვევაში, მყიდველი ადგენს აქტს, რომელშიც მითითებულია შეუსაბამობები. | либо сопроводительного документа Покупателем составляется Акт с указанием несоответствий. |
| **5.14.** გამყიდველი ანაზღაურებს მყიდველს შენახვის ხარჯებს (საქონლის შესანახად მიღებისას), ასევე ყველა ხარჯს (ტრანსპორტი და სხვა) მყიდველის მიერ გამყიდველისათვის საქონლის დაბრუნების შემთხვევაში. | **5.14.** Продавец возмещает Покупателю расходы по хранению (при принятии товара на ответственное хранение), а также все расходы (транспортные и иные), в случае возврата товара. |
| **5.15.** საქონლის დეფექტების/ნაკლოვანებების არსებობისა და მიზეზების დადგენისას უთანხმოების შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ უთანხმოების მოსაგვარებლად ჩართონ დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაციები. საექსპერტო ორგანიზაციების ჩართვის ხარჯები ეკისრება გამყიდველს. თუ დამოუკიდებელი საექსპერტო ორგანიზაცია დაადგენს მიწოდებულ საქონელში ხარვეზების/ნაკლოვანებების არსებობას, გამყიდველი აუნაზღაურებს მყიდველს ყველანაირ ხარჯს და შეცვლის საქონელს ან/და დაიბრუნებს მას მყიდველის სურვილისამებრ. | **5.15.** При разногласиях в определении наличия и причин дефектов/недостатков товара Стороны вправе привлекать независимые экспертные организации для устранения разногласий. Расходы по привлечению экспертных организаций несет Продавец. В случае установления независимой экспертной организацией наличия дефектов/недостатков в поставленном товаре Продавец возмещает Покупателю все расходы и заменит товар или примет его обратно по желанию Покупателя. |
| **6. მხარეთა პასუხისმგებლობა** | **6. Ответственность сторон** |
| **6.1.** მხარე ვალდებულია სრული მოცულობით აანაზღაუროს მეორე მხარისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანი. | **6.1.** Виновная Сторона должна возместить другой Стороне причиненные фактические убытки в полном объеме. |
| **6.2.** არმიწოდების, არადროული მიწოდებისთვის, მიწოდების გრაფიკის დარღვევის ჩათვლით ან არასრული საქონლის მიწოდებისთვის, გამყიდველი უხდის მყიდველს პირგასამტეხლოს მიუწოდებელი, არადროულად მიწოდებული, გრაფიკის დარღვევით მიწოდებული ან არასრული კომპლექტით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.15 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. | **6.2.** За непоставку, несвоевременную поставку, включая поставку в нарушение Графика отгрузки или поставку некомплектного товара Продавец уплачивает Покупателю неустойку в размере 0,15% от стоимости непоставленного, несвоевременно поставленного, поставленного в нарушение Графика отгрузки или некомплектного товара за каждый день просрочки. |
| **6.3.** ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობების განმეორებით (ორჯერ ან მეტჯერ) დარღვევის შემთხვევაში, დაყოვნების დღეების რაოდენობის მიუხედავად, მყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს გამყიდველს პირგასამტეხლო მიუწოდებელი, არადროულად მიწოდებული, გრაფიკის დარღვევით მიწოდებული ან არასრული კომპლექტით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის. | **6.3.** При неоднократном нарушении сроков поставки товара (два раза и более) по настоящему Договору, независимо от количества дней просрочки, Покупатель вправе предъявить Продавцу неустойку в размере 0,2% от суммы непоставленного, несвоевременно поставленного, поставленного в нарушение Графика отгрузки или некомплектного товара за каждый день просрочки. |
| **6.4.** საქონლის მიწოდების 5 (ხუთი) დღეზე მეტით დაგვიანების შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ, გამყიდველისთვის რაიმე ხარჯის ანაზღაურების გარეშე და წარუდგინოს გამყიდველს საქონლის მიწოდების დაგვიანებისთვის პირგასამტეხლოს და მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. შეტყობინება ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე უარის თქმის შესახებ გამყიდველს ეგზავნება ფოსტით. | **6.4.** В случае просрочки поставки товара более чем на 5 (пять) календарных дней, Покупатель имеет право отказаться от исполнения Договора полностью либо в части, без компенсации Продавцу каких-либо расходов, и предъявить Продавцу требование об уплате неустойки за просрочку в поставке товара и компенсации понесенных убытков. Уведомление об отказе от исполнения Договора полностью либо в части направляется Продавцу по почте. |
| **6.5.** უხარისხო საქონლის მიწოდებისას გამყიდველი ვალდებულია შეცვალოს ასეთი საქონელი ხარისხიანით აქტის ხელმოწერის დღიდან 20 (ოცი) დღის ვადაში ან მხარეთა შეთანხმებით დადგენილ სხვა ვადაში. მყიდველს უფლება აქვს მოსთხოვოს გამყიდველს ჯარიმა დაბალი ხარისხის საქონლის ღირებულების 10%-ის ოდენობით და მოითხოვოს მყიდველის მიერ დაბალი ხარისხის საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურება. მყიდველის მიერ დეფექტური პროდუქტის გამყიდველისთვის დაბრუნებისას, საქონლის | **6.5.** При поставке некачественного товара Продавец обязан произвести замену такого товара на качественный в течение 20 (двадцати) дней с момента подписания акта либо в иной срок, устанавливаемый по соглашению Сторон. Покупатель вправе предъявить Продавцу штраф в размере 10% от стоимости некачественного товара и требовать возмещения понесенных Покупателем убытков, связанных с поставкой некачественного товара. При возврате некачественного товара Покупателем Продавцу все расходы (транспортные и иные), связанные с возвратом товара, несет Продавец. |

| | |
|---|---|
| დაბრუნებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი (ტრანსპორტი და სხვა) ეკისრება გამყიდველს. | |
| **6.6.** უხარისხო საქონლის მიწოდებისას მყიდველს უფლება აქვს თავისი არჩევანით: | **6.6.** При поставке некачественного товара Покупатель вправе по своему выбору: |
| **6.6.1.** უარი თქვას ხელშეკრულების შესრულებაზე (მთლიანად ან ნაწილობრივ) და მოითხოვოს საქონლისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება; | **6.6.1.** отказаться от исполнения Договора (полностью или частично) и потребовать возврата уплаченной за товар денежной суммы; |
| **6.6.2.** უარი თქვას არაჯეროვანი ხარისხის საქონლის ღირებულების გადახდაზე და მოითხოვოს დეფექტების აღმოფხვრა ან არაჯეროვანი ხარისხის საქონლის შეცვლა ხელშეკრულების შესაბამისი საქონლით. ზემოაღნიშნულ ვადაში დაბალი ხარისხის საქონლის არშეცვლის შემთხვევაში მყიდველს უფლება აქვს გამყიდველისგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების 6.2. პუნქტში მითითებული ოდენობით არაჯეროვანი ხარისხის საქონლის მიწოდების დღიდან. | **6.6.2.** отказаться от оплаты товара ненадлежащего качества и потребовать устранения недостатков или замены товара ненадлежащего качества товаром, соответствующим Договору. При незамене некачественного товара в указанный выше срок, Покупатель вправе взыскать с Продавца неустойку в размере, указанном в п. 6.2. настоящего Договора, начиная со дня поставки некачественного товара. |
| **6.7.** მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **6.7.** Стороны несут иную ответственность, установленную действующим законодательством Грузии. |
| **6.8.** ჯარიმებისა და პირგასამტეხლოების გადახდა არ ათავისუფლებს ბრალეულ მხარეს დარღვეული ვალდებულების შესრულებისგან. | **6.8.** Уплата неустоек и штрафов не освобождает виновную Сторону от исполнения нарушенного обязательства. |
| **6.9.** ზარალი ანაზღაურდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოებისა და ჯარიმებზე მეტი ოდენობით. | **6.8.1.** Убытки взыскиваются в полной сумме сверх неустойки и штрафов, предусмотренных настоящим договором. |
| **6.10.** გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს მატერიალური და სამართლებრივი ხარვეზების გარეშე საქონელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამყიდველი სრულად აგებს პასუხს მყიდველის წინაშე და ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი სრულად, მათ შორის, ნასყიდი ნივთის ღირებულების ოდენობით, ამ ნივთის ხარვეზის შემთხვევაში. | **6.9.** Продавец обязан предоставить Покупателю товар, лишенный вещественных и правовых недостатков. В противном случае Продавец несет полную ответственность перед Покупателем и обязан возместить ущерб в полном объеме, включая в размере стоимости предмета покупки, в случае обнаружения дефекта данного предмета. |
| **7. დავათა განხილვის წესი** | **7. Порядок рассмотрения споров** |
| **7.1.** მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. | **7.1.** Стороны будут стремиться на основании взаимных переговоров решать споры, возникнувшие в связи с настоящим договором. |
| **7.2.** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს შორის დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო გზით. მხარეები წინასწარ ვაცხადებთ თანხმობას, რომ დავათა სასამართლოში განხილვის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს აღსასრულებლად. | **7.2.** В случае недостижения соглашения спор между Сторонами разрешается в порядке, установленном законодательством Грузии, в судебном порядке. Стороны предварительно заявляем о согласии, в случае судебного рассмотрения споров, решение, вынесенное первой инстанцией, будет окончательным и незамедлительно должно быть передано для исполнения. |
| **8. ფორს-მაჟორი** | **8. Обстоятельство неопределенной силы** |
| **8.1.** მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ ეს იყო მხარის კონტროლის მიღმა გარემოებების შედეგი, კერძოდ: ხანძარი, ბლოკადა, გაფიცვა, საქონლის იმპორტის/ექსპორტის აკრძალვა, სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები და სხვა ფორს-მაჟორული ქმედებები, რომლებიც წარმოიშვა ამ ხელშეკრულებებით ხელმოწერის შემდეგ და/ან გავლენას ახდენს ხელშეკრულების შესრულებაზე. | **8.1.** Стороны освобождаются от ответственности за полное или частичное неисполнение или ненадлежащее исполнение своих обязательств по настоящему Договору, если это явилось следствием обстоятельств вне контроля Стороны, а именно: пожара, блокады, забастовки, запрещения ввоза/вывоза грузов, стихийных бедствий, военных событий и других проявлений действия непреодолимой силы, которые возникли после подписания настоящего Договора и/или влияют на выполнение Договора. |



გამყიდველი / Поставщик ___________________________

| | |
|---|---|
| **8.2.** მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელია შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, უნდა აცნობოს მეორე მხარეს ტელეფონით და 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით დაუძლეველი ძალის დადგომის შესახებ შეტყობინება. | **8.2.** Сторона, для которой создалась невозможность выполнения обязательств по Договору, должна сообщить об этом по телефону другой Стороне, а также в течение 3 (трех) календарных дней направить другой Стороне письменно с уведомлением информацию о наступлении обстоятельств непреодолимой силы. |
| **8.3.** თუ მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულების 9.2. პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, მას არ აქვს უფლება მოიხსენიოს ასეთი გარემოებების წარმოშობა, როგორც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი. | **8.3.** В случае если Сторона не выполнит требований, установленных в п. 8.2. настоящего Договора, она не вправе ссылаться на наступление таких обстоятельств в качестве основания для освобождения от ответственности. |
| **8.4.** ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ასეთი გარემოებების ხანგრძლივობით. | **8.4.** В случае наступления обстоятельств непреодолимой силы срок исполнения обязательств отодвигается на время действия таких обстоятельств. |
| **8.5.** თუ მხარეებს შორის შეთანხმება არ იქნება მიღწეული ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში არცერთ მხარეს არ ექნება უფლება მეორე მხარეს მოსთხოვოს კომპენსაცია. | **8.5.** Если в течение 2 (двух) месяцев после уведомления о наступлении обстоятельств непреодолимой силы не будет достигнуто соглашение между Сторонами, любая из Сторон может прекратить действие Договора, письменно уведомив об этом другую Сторону. В таком случае ни одна из Сторон не имеет права на возмещение убытков другой Стороной. |
| **8.6.** ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტის შემდეგ მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტში მითითებულის მსგავსად. | **8.6.** После прекращения действия обстоятельств непреодолимой силы Сторона обязана уведомить об этом другую Сторону в порядке, аналогичном указанному в п. 8.2. настоящего Договора. |
| **9. ინფორმაციის გაცვლა და შეტყობინებები** | **9. Обмен информацией и уведомления** |
| **9.1.** მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის კომუნიკაცია ხდება წერილობითი ან ელ.ფოსტის მეშვეობით. | **9.1.** Стороны согласуются, что коммуникация между ними осуществляется посредством письменной форме или через электронной-почты. |
| **9.2.** მხარები ვალდებულნი არიან ერთმანეთს დაუყონებლივ აცნობონ ხელშეკრულებაში მოცემული რომელიმე რეკვიზიტის ცვლილების შესახებ. შეუტყობინებლობის შემთხვევაში ნებისმიერი ინფორმაცია ითვლება მოქმედად და მასზე გაგზავნილი ინფორმაცია მხარისთვის ჩაბარებულად. | **9.2.** Стороны обязаны незамедлено сообщать друг другу об изменении реквизитов, указанных в договоре. В случае неуведомленныя, любая информация считается действительной, и отправленная информация считается доставленной стороне. |
| **9.3.** მხარეები თანხმდებიან, საკონტაქტო პირებისთვის მითითებულ ელ. ფოსტაზე ან/და მხარეთა ოფიციალურ ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ითვლება იურიდიული ძალის მქონედ მიუხედავად მისი მეორე მხარის მიერ დადასტურებისა. | **9.3.** Стороны согласуются, что уведомление, отправленное на эл. почту для контактных лиц и/или на официальную почту Сторон, имеет юридическую силу несмотря на его подтверждения второй стороной. |
| **10. კონფიდენციალურობა** | **10. Конфиденциалность** |
| **10.1.** მხარეები იღებენ ვალდებულებას ერთმანეთისგან წინასწარი თანხმობის გარეშე არ გაამჟღავნონ ის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ მხარეთა საიდუმლოებას და რომელიც მათთვის ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების დროს. მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები მსგავსი ინფორმაციის გავრცელების აღსაკვეთად. | **10.1.** Стороны принимают на себя обязательства не разглашать без предварительного согласия друг друга сведения, составляющие коммерческую тайну сторон, которая стала известна им в ходе исполнения Договора, и принимать меры по предотвращению утечки подобной информации. |
| **10.2.** წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კომერციული საიდუმლოების ქვეშ მხარეები გულისხმობენ ინფორმაციას, რომელსაც მხარეთათვის გააჩნია მოქმედი ან პოტენციული კომერციული ღირებულება, რომელიც კანონიერი გზებით მიუწვდომელია მესამე პირთათვის და რომელიც მხარეთა მიერ ინახება როგორც კონფიდენციალური. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშერულების შინაარსი წარმოადგენს | **10.2.** В рамках Договора стороны под коммерческой тайной понимают такую информацию, которая имеет действительную или потенциальную коммерческую ценность для сторон в силу неизвестности ее третьим лицам, к которым отсутствует свободный доступ на законном основании, и которая охраняется сторонами, как конфиденциальная. Кроме того, Стороны подтверждают, что суть данного договора является конфиденциальным |



გამყიდველი / Поставщик ___________________________

| | |
|---|---|
| კონფიდენციალურს იმ პირებისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს.<br>**10.3.** კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვის ვალდებულება მოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში და ასევე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შემდეგაც განუსაზღვრელი ვადით. | для третьих лиц, которые не являются сторонами данного договора.<br>**10.3.** Указанное обязательство соблюдения конфиденциальности действует в течение срока действия Договора и после прекращения действия данного договора на неопределенной срок. |
| **11. პერსონალური მონაცემები**<br>**11.1.** წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით გამყიდველი, როგორც ხელშემკვრელი მხარე, მყიდველს ანიჭებს უფლებამოსილებას სახელშეკრულებო ურთიერთობის გამართულად წარმართვის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მოიპოვოს, შეაგროვოს, შეინახოს და დაამუშავოს მისი პერსონალური მონაცემები.<br>**11.2.** გამყიდველი ანიჭებს მყიდველს უფლებამოსილებას, რომ გამყიდველის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა: (1) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, (2) ხარისხისა და რისკის მართვის შემოწმებები, (3) მომსახურების სპექტრის შესახებ ინფორმაციის მოწოდება, მათ შორის ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით, (4) დავა და სამართალწარმოება, (5) კანონმდებლობის ან რეგულაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.<br>**11.3.** გამყიდველი აცხადებს, რომ თანახმაა მისი პერსონალური მონაცემები გამოყენებულ იქნას მომხმარებელთა ბაზაში დარეგისტრირების მიზნით, მყიდველის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით განსაზღვრული ვადით ან იმ ვადამდე, სანამ იგი გამყიდველის მხრიდან არ მიიღებს სხვაგვარ მითითებას.<br>**11.4.** გამყიდველისთვის ცნობილია, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია მყიდველთან არსებული მისი პერსონალური მონაცემების თაობაზე, ასევე მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. აგრეთვე, გამოიხმოს მისი თანხმობა, ნებისმიერ დროს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. | **11. Персональные данные**<br>**11.1.** С подписанием данного документа, Продавец уполномочивает Покупателя с целью надлежащего осуществления договорных отношений, получать, собрать, хранить и обрабатывать его личные данные для достижения вышеуказанной цели.<br>**11.2.** Продавец предоставляет Покупателю право обрабатывать персональные данные, предоставленные Продавцом, для следующих целей: (1) предоставление услуги по договору; (2) проверки качества и управления рисками, (3) предоставление Сублицензиату информацию о спектре услуг, в том числе в электронном виде; (4) спор и судебный процесс, (5) соблюдение требований закона или регуляции, и другие случаи, определенные законодательством и данным договором.<br>**11.3.** Продавец соглашается Покупателю использовать свои персональные данные для регистрации в Базе данных клиентов в течение периода, указанного во внутренней нормативной документации Покупателя, или до тех пор, пока Покупатель не получит другую ссылку от Продавца.<br>**11.4.** Продавец осведомлен о том, что он может в любое время запросить информацию о своих личных данных от Покупателя, а также потребовать их исправления, обновления, добавления, блокировки, удаления и уничтожения. Также в любой момент отозвать свое согласие на основании письменного заявления в соответствии с правилами, установленными законодательством Грузии. |
| **12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეცვლისა და შეწყვეტის წესი**<br>**12.1.** წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის დადების დღიდან და ძალაშია მის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე. თუ მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ვადის ამოწურვამდე არსებობს ვალდებულებები, ამ ხელშეკრულების ყველა პირობა, მათ შორის პასუხისმგებლობის პირობები ზარალის ანაზღაურებისა და ჯარიმის სახით, ძალაშია (გაგრძელდება) მანამ, სანამ მხარეები სათანადოდ არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს.<br>**12.2.** წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ასეთი გაგრძელება არ განიხილება როგორც მხარეთა მიერ ადრე შეთანხმებული ვალდებულებების შესრულების ვადის ცვლილება და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება ვალდებულების შესრულების დაგვიანების ყოველი | **12. Срок действия договора, порядок изменения и расторжения договора**<br>**12.1.** Настоящий Договор вступает в силу с даты заключения и действует до его полного надлежащего выполнения. При наличии неисполненных Сторонами обязательств к моменту истечения срока для выполнения обязанности, все условия настоящего Договора, в том числе условия об ответственности в виде возмещения убытков и о неустойке, действуют (продлеваются) до момента надлежащего исполнения Сторонами обязательств.<br>**12.2.** Такое продление срока действия настоящего Договора не рассматривается Сторонами как изменение ранее согласованного Сторонами срока исполнения обязательств, и предусмотренная настоящим Договором неустойка уплачивается за каждый день просрочки |



გამყიველი / Поставщик ___________________________

დღისთვის, სანამ ფაქტობრივად არ შესრულდება ვალდებულებები.

**12.3.** წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გაგრძელება შესაძლებელია მხარეთა შორის გაფორმებული დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

**12.4.** ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს როგორც ამ ხელშეკრულებით, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**13. სხვა პირობები**

**13.1.** წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი მხარე არ არის უფლებამოსილი გადასცეს, წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, ნაკისრი უფლებები ან მოვალეობები ნებისმიერ მესამე მხარეს, მეორე მხარისგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

**13.2.** წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ და რუსულ ენებზე. თითო ეგზემპლიარი გადაეცემა თითოეულ მხარეს. წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, თარგმანის სირთულეებიდან გამომდინარე, უპირატესობა მიენიჭება ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც შედგენილია ქართულ ენაზე.

**13.3.** წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დამატებითი ხელშეკრულებები/სხვა სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც დამოწმებულია მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერებით და ბეჭდით, ასევე სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**13.4.** ხელმოწერის/გაფორმების თარიღი ემთხვევა წინამდებარე ხელშეკრულების თავსართში მითითებულ თარიღს.

**13.5.** იურიდიული, ფაქტობრივი მისამართების, საბანკო და სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში ყოველი მხარე ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს ამგვარი შეცვლის შესახებ 3 (სამი) კალენდარული დღით ადრე.

**13.6.** სხვა საკითხებზე, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ასევე დამკვეთის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებითა და მიზნებით.

**13.7.** ყველა დანართი, სპეციფიკაცია თუ სხვა დოკუმენტი, რომელიც გამზადებულია და ხელმოწერილია მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მხარეთა რეკვიზიტები**

**მყიდველი:**
**შპს „ლუკოილ-ჯორჯია“**
საიდენტიფიკაციო კოდი: **204976302**
**მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, გოთუას მიმდ. ტერიტორია

ანგ. №: **GE88 TB11 0000 0035 4677 29**

_____________________ **ზ. ჯალილოვი**
**დირექტორი**

исполнения обязательства до фактического исполнения обязательства.

**12.3.** Продление срока действия настоящего Договора может быть также оформлено дополнительным соглашением Сторон к нему.

**12.4.** Договор может быть изменен или расторгнут в случаях, предусмотренных настоящим Договором, а также действующим законодательством Грузии.

**13. Прочие условия**

**13.1.** Ни одна из сторон не имеет права передавать свои права и обязанности по настоящему Договору третьим лицам без письменного согласия на то другой стороны.

**13.2.** Настоящий Договор составлен в двух экземплярах, по одному экземпляру для каждой из сторон, на русском и грузинском языках, причем оба текста аутентичны и имеют одинаковую юридическую силу. В случае разночтений, связанных с трудностью перевода Стороны, устанавливают приоритет текста договора, изложенного на грузинском языке.

**13.3.** Дополнительные соглашения/другие правовые документы к данному Договору, подписанные уполномоченными представителями сторон и скрепленные печатью, также тендерные документы являются неотъемлемой частью Договора.

**13.4.** Датой подписания/оформления данного договора является дата, указанная в заголовке данного договора.

**13.5.** В случае осуществления изменения юридического, фактического адреса, банковских и иных реквизитов каждая из Сторон по договору обязуется уведомить другую Сторону об этих изменениях в течение 3 (трех) календарных дней с даты такого изменения.

**13.6.** Во всем остальном, что не предусмотрено настоящим Договором, Стороны руководствуются действующим законодательством Грузии, а также основными принципами и целями Политики Заказчика.

**13.7.** Все приложения, спецификации или иные документы, подготовленные и подписанные сторонами на основании настоящего договора, являются неотъемлемой частью настоящего договора.

**Реквизиты сторон**

**Покупатель:**
**ООО «ЛУКОЙЛ-Джорджия»**
Идентификационный код: **204976302**
**Адрес**: Грузия, г. Тбилиси, Правая набережная р. Мтквари, прилегающая к ул. Готуа территория

№ Счёта: **GE88 TB11 0000 0035 4677 29**

_____________________ **З. Джалилов**
**Директор**

| | |
|---|---|
| **გამყიდველი:**<br>[-]<br>საიდენტიფიკაციო კოდი: [-]<br>**მისამართი:** [-]<br><br>ანგარიშის №: [-]<br><br>_____________________ [-]<br>**დირექტორი** | **Продавец:**<br>[-]<br>Идентификационный код: [-]<br>**Адрес:** [-]<br><br>№ Счёта: [-]<br><br>_____________________ [-]<br>**Директор** |

| | |
|---|---|
| | |



გამყიველი / Поставщик ___________________________